განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სადოქტორო პროგრამა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
18 დეკემბერი 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
13 თებერვალი 2020 წელი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის დოქტორი 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2013 წლის 29 ივლისის 80 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნონა ზუბიტაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯაყელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სესილი ქადარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (შემდეგში „გრსუ“) სამართლის სადოქტორო პროგრამა დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2007 წლიდან. 2018 წელს აღნიშნულ პროგრამას გაუვიდა აკრედიტაციას ვადა. 2019 წელს უნივერსიტეტმა მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს განმეორებითი აკრედიტაციის თაობაზე.

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს ახალი გენერაციის მკვლევარი იურისტები, ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც ანალიტიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და სხვა სამსახურეობრივი კომპეტენციების ფარგლებში შეძლებენ სამუშაოს ორგანიზებას და მართვას სამართლებრივი ან და ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღებას, მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით.

პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტს, რომლიდანაც სასწავლო კომპონენტი (დარგობრივი დისციპლინის მოდული 20 კრედიტი, ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი დისციპლინების მოდული - 12 კრედიტი, მეთოდოლოგიური დისციპლინის მოდული - 18 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კომპონენტის მოდული - 10 კრედიტი) მოიცავს ჯამში 60 კრედიტს, ხოლო 120 კრედიტი გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევითი მიმართულებისათვის, საკუთრივ სადოქტორო ნაშრომისათვის. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტიანი დისერტაციის გარდა მოიცავს, ორ კოლოკვიუმს, ერთ სტატიას ქართულენოვან რეფერირებად გამოცემაში, ერთ უცხოენოვან სტატიას, საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში, ერთ სამეცნიერო მოხსენებას/თეზისს საერთაშორისო ფორუმის კრებულში ან ელექტრონულ მატარებელზე, და სამეცნიერო არჩევითი მოდულით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას - სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან პრაქტიკის გავლას ადგილობრივ ან საერთაშორისო კვლევით ცენტრში. საერთო ჯამში 120 კრედიტით ფასდება საკუთრივ დისერტაცია, ხოლო აღნიშნული კომპონენტები წარმოადგენენ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების ნაწილს. ამის გარდა, დისერტაციის დაცვაზე გასვლის წინაპირობად განსაზღვრულია დამატებითი აქტივობები, რომელიც მოიცავს ერთ-ერთ შემდეგიდან: პოპულარულ სტატიას ელექტრონულ ან მატერიალურ მატარებელზე, ან ბლოგებს (5-6 ბლოგი), ელექტრონული მედიით გამოსვლას საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხზე, ან პოპულარული ლექციების ციკლის ჩატარებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების ცოდნის გაფართოებას, ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის პროფესიული განვითარების/გადამზადების ტრენინგების ორგანიზებას/წაყვანას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

გრსუ-ს სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2019 წლის 18 დეკემბერს. განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ინტერვიუები,

მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალიერება, ბიბლიოთეკისა და კრიმინალისტიკის ლაბორატორიის, ელექტრონული სისტემისა და ბაზების ფუქნციონირების შემოწმება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მოწოდებული მასალების შესწავლის შედეგად და ასევე აკრედიტაციის ვიზიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა პოზიცია გრსუ-ს სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

პროგრამის მიზნები ნათლად არის იდენტიფიცირებული, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ხელთ არსებული რესურსების ჭრილში პროგრამის მიზნები მიღწევადია. უნივერსიტეტის მხრიდან ყურადღება ეთმობა ინტერნაციონალიზაციას, რისი შედეგებიც დადასტურებულია როგორც სტუდენტთა სამეცნიერო მობილობით, ასევე აკადემიური პერსონალის ნაწილის სამეცნიერო მივლინებებით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის კომპლექსურობა შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს და სხვა.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვეთილია რეკომენდაციები და რჩევები, რომელთა გათვალისწინება უნივერსიტეტის მხრიდან დადებითად აისახება სამართლის სადოქტორო პროგრამის გამართულ და ეფექტურ ფუნქციონირებაზე.

- **რეკომენდაციები**
  - „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული 10 წყაროდან ორი არის ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც თარიღდება 2009 და 2010 წლებით, ხოლო ერთი არის ინგლისურენოვანი ინტერნეტ რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მითითებული საგნის ფარგლებში უცხოენოვანი მასალა გამრავალფეროვნებული ანდა ჩანაცვლებული უნდა იყოს მეტად უახლესი უცხოენოვანი პუბლიკაციებით, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მოძიებით, უხვადაა როგორც უფასო ინლაინ რესურსებში, ასევე ხელმისაწვდომია ელ.კომერციის პლატფორმებზე.
  - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე „ინფორმაცია სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული

პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“ დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, შემუშავებული იყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგია და თანმდევი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პერსონალის საჭიროებების კვლევას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები ასახულია ამავე დოკუმენტის მე-4 დანართში, თუმცა საჭიროა არსებობდეს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგიაც და განხორციელების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის #1-#2 დანართით გამოიკვეთა სურათი, რომ აკადემიური პერსონალის ერთი ნაწილის შემთხვევაში პროფესიული განვითარების უწყვეტობა საერთო სურათთან მიმართებით არ არის თანაფარდობაში, კერძოდ, რიგ შემთხვევაში არ არის დატვირთული ინტენსიური და ახალი აქტივობებით. მართალია აკადემიური პერსონალის ერთ ნაწილთან მიმართებით ფიქსირდება ინტენსიური უწყვეტი აქტივობა თუმცა რიგ შემთხვევაში შეიძლება ფიქსირდებოდეს მხოლოდ 1-3 აქტივობა და ისიც არა უახლესი - 2015 წლამდე ან ჩათვლით. ექსპერტთა ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს დაკნინებული კადრების ცნობადობითა და საზოგადოდ დამკვიდრებული მოსაზრებით კონკრეტული პირების პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს არამხოლოდ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, არამედ მუშაობდეს აკადემიური პერსონალის მხრიდან ამ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პერსონალის მხრიდან არ ხდება გამოყენება, უზრუნველყოს ისეთი აკადემიური პერსონალით, რომელთა რეჟიმი და სამუშაო დატვირთულობა საშუალებას აძლევს მათ, იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე უწყვეტად უნივერსიტეტის მონაწილეობით. აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება პერსონალის სამეცნიერო აქტივობის პერიოდულ შეფასებას. იგივე ტენდენცია დაფიქსირდა აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებთან და კვლევებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აკადემიური პერსონალის ნაწილის გააქტიურებას ამ მიმართულებით. საერთო ჯამში, სადოქტორო პროგრამის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართ არსებობდეს მკაფიო სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

- 5.2 სტანდარტთან მიმართებაში გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტთა ჯგუფი მიუთითებს, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, აღწერილობითი ნაწილი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები დოქტორანტებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა) პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე გონივრული ვადით ადრე დაინტერესებული პირებისათვის მარტივად აღქმადი ფორმით განთავსდეს უნივერსიტეტის საიტზე და იყოს ხელმისაწვდომი (ამჟამად, ხელმისაწვდომია სასწავლო გეგმა - მატრიცა http://www.gruni.edu.ge/menu_content/index/370).

- უნივერსიტეტს გააჩნია „სამართლის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის სტრატეგია“, ასევე „სამართლის სადოქტორო პროგრამის განვითარების სტრატეგია“. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებს, როგორიცაა მაგალითად: „სამეცნიერო კვლევების თანამედროვე შეფასების სისტემის შემუშავება/დანერგვა“, ახალგაზრდა მკვლევარების მიერ იმპაქტ-ფაქტორის მქონე და რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების მასტიმულირებელი მიდგომების დანერგვა“, „ციტირების ინდექსების გაზრდა (google scholar- ის, scopus-ის, web of science-ის და ა.შ. მონაცემების მიხედვით).“ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის დოკუმენტების ფარგლებში მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დააიდენტიფიციროს და პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმაში ასახოს ამ და მსგავსი ტიპის ამოცანების მისაღწევად აუცილებელი კონკრეტული აქტივობები/ღონისძიებები და მათი განხორციელების შესაბამისი ვადები.

- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილის გააქტიურება ახალი სამეცნიერო სტატიებისა და კვლევების განხორციელების მიზნით, შესაძლებელია აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ერთობლივი კვლევებისა და ერთობლივი სამეცნიერო სტატიების შემუშავების პრაქტიკის დანერგვით. საერთო ჯამში, სადოქტორო პროგრამის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და

სამეცნიერო აქტივობის მიმართ არსებობდეს მკაფიო სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

- აღნიშნულის გარდა, სასურველია ბიბლიოთეკის ფონდის გამრავალფეროვნება, როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი მასალით.

- აღსანიშნავია, რომ გრსუ-ის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2013 წლის 28 მაისის დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია სასწავლო კურსის „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სილაბუსში გაზრდილიყო სამეცნიერო კვლევების მეთოდების თემატიკა. მიმდინარე აკრედიტაციის ფარგლებში, აღნიშნული კურსის გარდა, რომელიც უშუალოდ კვლევის მეთოდოლოგიაზე ნაკლებად არის ფოკუსირებული, ასევე წარმოდგენილია სავალდებულო კურსი „სადოქტორო კვლევა“, რომელიც თავის მხრივ, ფართოდ და სიღრმისეულად მოიცავს კვლევის მეთოდების საკითხებს. „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სასწავლო კურსის სახელწოდების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სილაბუსში სასწავლო კურსის სახელწოდებიდან ამოღებულ უნდა იყოს მითითება „კვლევის მეთოდოლოგია“, რადგანაც აღნიშნული კომპონენტი გათვალისწინებულია სხვა სასწავლო კურსში. აღნიშნულის გარდა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ სასწავლო კურსებში „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა“ და „სადოქტორო კვლევა“ სალექციო თემატიკები რიგ შემთხვევებში დაყოფილია და დუბლირებულია, მაგ. ერთგან ხვდებით „სადოქტორო ნაშრომის წყაროები და ბიბლიოგრაფია (სადოქტორო ნაშრომის წყაროების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია, პირველადი და მეორეული წყაროების გამოყენება სადოქტორო ნაშრომში. სადოქტორო ნაშრომის ბიბლიოგრაფია და მისი დანიშნულება. სადოქტორო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის სტრუქტურება)“ ხოლო მეორეგან „საკვლევი წყაროების მოძიება და ანალიზი (საკვლევი წყაროები, პირველადი და მეორეული წყაროები, წყაროთა მოძიება ელექტრონულ ბაზებსა და ბიბლიოთეკებში, წყაროთა დამუშვებისა და ანალიზის წესი, კვლევის ენა და სტილისტიკა).“ ასევე, ერთ შემთხვევაში გვხვდება სალექციო თემა „კვლევის საჯარო წარდგენა (კვლევის საჯარო წარდგენის თავისებურებანი, საჯარო წარდგენისათვის აუცილებელი უნარები, კვლევის გაფორმება და ტექნიკური საშუალებების გამოყენება აკადემიური პრეზენტაციისას),“ ხოლო მეორე შემთხვევაში „სადოქტორო ნაშრომის

საჯარო წარდგენის სტანდარტი და მოთხოვნები, (სადოქტორო ნაშრომის საჯარო წარდგენისთვის მომზადება, ვიზუალური მასალის გამართვა, პრეზენტაციის აწყობა)“ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული და მსგავსი სალექციო თემები უმჯობესია არ იყოს დაყოფილი და ნაწილობრივ დუბლირებული ორ სხვადასხვა კურსში და ერთი კურსის ფარგლებში მოხდეს დოქტორანტებისთვის კვლევასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების სრულად გადაცემა.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

გრსუ უზრუნველყოფს დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომების უცხოენოვან გამოცემებში გამოქვეყნებას. ასევე ხელს უწყობს დოქტორანტების და კურსდამთავრებულთა აკადემიური და სამეცნიერო კარიერის განვითარებას თავად უნივერსიტეტის ბაზაზე.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში აქცენტირებულად არ არის წარმოდგენილი პირველადი აკრედიტაციის რეკომენდაციებზე რეაგირების ინფორმაცია, რეაკრედიტაციის სახით წარმოდგენილი პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის, რესურსებისა და ინტერვიუს ანალიზის შედეგად ვლინდება დაწესებულების მიერ 2013 წლის აკრედიტაციის შედეგის სახით განსაზღვრულ რეკომენდაციებზე განხორციელებული რეაგირება. კერძოდ, 2013 წლის აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად, ექსპერტებმა დაწესებულებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით მისცეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. სამეცნიერო კვლევის მეთოდებისა და დისერტაციის არქიტექტონიკის სილაბუსში სასურველია გაიზარდოს სამეცნიერო კვლევის მეთოდების თემატიკა;
2. სასურველია სასწავლო კომპონენტის სილაბუსები (,აგ. თანამედროვე უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია) გამრავალფეროვნდეს თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურით.
3. სასურველია სასწავლო პროგრამაში მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები.

დაწესებულებამ რეკომენდაციებთან მიმართებაში გაატარეს შემდეგი ღონისძიებები:

1. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით სასწავლებელმა გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნა და საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკე კომპონენტის სახით დაამატა ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი „სადოქტორო კვლევა“, რომელიც თავის მხრივ, ფართოდ და სიღრმისეულად მოიცავს კვლევის მეთოდების საკითხებს,

აღნიშნულთან მიმართებით ასევე იხილეთ მე-6- გვერდზე რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

2. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამჯერად წარმოდგენილ სილაბუსებში გათვალისწინებულია უცხოენოვანი მასალა და უზრუნველყოფილია მატი ხელმისაწვდომობა სასწავლებლის საბიბლიოთეკო ფონდებში და ელექტრონული სახით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი კვლავ იძლევა რეკომენდაციას, რომ გამოყენებული იყოს უფრო მეტად უახლესი უცხოენოვანი პუბლიკაციები, აღნიშნულთან მიმართებით დამატებით იხილეთ მე-4 გვერდზე რეკომენდაციები.

3. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით სასწავლებელმა გაითვალისწინეს სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებთან დაკავშირებული მოთხოვნა და საგანმანათლებლო პროგრამის VI თავში დეტალურად ჩამოაყალიბეს ის მეთოდები და აქტივობები, რომლითაც უნდა უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა, რომელშიც ცალ-ცალკე არის განმარტებული თითოეული მეთოდი და აქტივობა. გარდა აღნიშნულისა რეკომენდაციას ეხმიანება სასწავლებელში მოქმედი პროგრამის სასწავლო ორგანიზაციული მეთოდები (დანართი 2.5.2), რომელშიც გარდა მეთოდებისა და მათი განმარტებისა დაკონკრეტებულია სასწავლო-ორგანიზაციული ფორმა და აქტივობები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები: 1. მოამზადოს ახალი გენერაციის მკვლევარი იურისტები ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნის გათვალისწინებით, რომლებიც ანალიტიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და, სხვა სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში (სამართალდამცავ, სასამართლო, და საზედამხედველო ორგანოებში, საკანონმდებლო/საჯარო, კერძო და საზოგადოებრივ/უფლებადამცავ ორგანიზაციებში), შეძლებენ სამუშაოს ორგანიზებას და მართვას - სამართლებრივი ან/და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღებას მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით. 2. სამართლის მეცნიერული მემკვიდრეობის კონტექსტში მომავალ მკვლევარებს განუვითაროს უახლეს თეორიულ და პრაქტიკულ მიღწევებზე ყურადღების კონცენტრაციის, სადაო მეცნიერული პრობლემების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, რაც საფუძველს შექმნის სამართლის არსის, მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და არსებული დოგმატების კრიტიკულად გააზრებისათვის (სამართლის ლიბერალიზაცია, ეროვნული სამართლებრივი კულტურა და მასზე საერთაშორისო სამართლის გავლენა...), ჩამოუყალიბებს სტუდენტებს გაფართოებული ცოდნით ოპერირებისა და ინტეგრირების უნარს სამეცნიერო კვლევის შედეგებთან, რომელიც შეესაბამება კვლევის საერთაშორისო სტანდარტებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. 3. განუვითაროს სტუდენტებს მეცნიერული აზროვნება, გამოუმუშაოს ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული მეცნიერული კვლევების დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარი, რომელიც მიმართული იქნება

მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, დარგის რეფორმირების პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებული სამეცნიერო პროდუქტების შექმნისათვის.

4. უზრუნველყოს სტუდენტთა მაღალი მეცნიერული აქტივობა - ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ფართო ინტეგრირება; მოამზადოს ისინი აკადემიურ ჯგუფებთან ეფექტური კომუნიკაციისათვის სასწავლო-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ინსტრუმენტების გამოყენებით.
5. მოამზადოს სტუდენტები ფუძემდებლური სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების კრიტიკულად გააზრებისა და მათი გაზიარებისათვის სამართლის ფასეულობითი საფუძვლების განვითარებისა და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ფორმირების მიზნებისთვის, რითაც თავის წვლილს შეიტანენ, როგორც სამართლის მეცნიერების, ისე ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარების საქმეში. 6. უზრუნველყოს სტუდენტის, როგორც სამართლის სფეროს მკვლევარის, ლიდერად ჩამოყალიბება და ამ პოზიციის მუდმივად შენარჩუნება ცოდნისა და კვლევის არეალის სისტემატურად გაფართოების, განახლებისა და სრულყოფის გზით.

პროგრამის მიზნები შეესაბამება თავად გრსუ-ის მისიას.

გრსუ-ს რესურსების ჭრილში პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია.

გრსუ-ს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამის განვითარების მიზნებს და თითოეული მიზნის მისაღწევად საჭირო ამოცანებს, პასუხისმგებელ სამსახურს, ვადებს და ინდიკატორებს განსაზღვრავს. თუმცა აღნიშნული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი კონკრეტული აქტივობები.

ასევე იდენტიფიცირებულია ის როლი და წვლილი, რასაც აღნიშნული პროგრამა სამართლის დარგის განვითარებაში შეიტანს, მათ შორის, მაღალი ხარისხის სამეცნიერო-კვლევითი კულტურის განვითარებაში.

უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო პროგრამა

- უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები, მიზნები
- პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმა
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- შრომის ბაზრის კვლევა (2018 წლის)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობა/ღონისძიება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი სამართლის მიმართულებით და უცხო ენის B2 დონე.

კონკურსზე დასაშვებად სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა წარადგინოს საკვლევი თემა. უშუალოდ ჩარიცხვის წესი მოიცავს ორ ეტაპს, უცხო ენის

გამოცდას, და რეფერატის ან გამოქვეყნებული ნაშრომის (ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცვას კომისიის წინაშე. აღნიშნული მოცემულობა უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნისა და უნარების როგორც ჩარიცხვის მსურველი პირების მხრიდან გაცნობიერებას და გამოვლენას, ასევე საკონკურსო კომისიის მიერ აღნიშნული უნარების კონკურენტულ გარემოში შეფასებას. საერთო ჯამში პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და საკონკურსო წესი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის, პროგრამისა და კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამის მიზნების შესაბამისად კონსტრუირებული სასწავლო და კვლევით კომპონენტების შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები გაზომვადია სასწავლო და კვლევით კომპონენტების შეფასების კრიტერიუმების ფარგლებში. უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის შეფასების გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევა და ანალიზი სწავლის შედეგების მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ანალიზი და სხვა. შეფასებისვალისწინებულია სწავლისხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისამსახურსტატისტიკურ მონაცემების მოგროვებასსის ოგროვებასსისისწისტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებისისთასწინ, სტუდენტთა დაბალი მოსწრების მიზეზების/ფაქტორების ტუდენტთააიზეზების და . აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო ყველა მონაცემის შეგროვებას, ხოლო მონაცემთა შემდგომი ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამის შეფასების გეგმა;

○ სამიზნე ნიშნულები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ წინაპირობებს: ა) სამართლის მიმართულებით მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებულ ხარისხი; ბ) ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდა არანაკლებ B2 დონე. აღნიშნული წინაპირობები შეესაბამება კანონმდებლობას. მოთხოვნილი წინაპირობები საერთო ჯამში საკმარისია პროგრამის დასაძლევად. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიხედვით დოქტორანტს მოეთხოვება ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატის უცხო ენაზე გამოქვეყნება. ასევე ბლოკ სემინარ #2-ის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული პრობლემური თემების ირგვლივ უცხოენოვანი ნაშრომის მომზადება და შემდეგ დაცვა/პრეზენტაცია. აღნიშნული კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სულ 30 საკონტაქტო საათი, საიდანაც ლექციას შესაბამის უცხოენაზე ეთმობა 5 საათი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტუდენტთა ინტერვიუებზე დაისვა საკითხი რამდენად იძლევა უცხო ენის B2 დონე ბლოკსემინარის დაძლევასა და უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიის დამუშავების შესაძლებლობა, რაზეც გამოკითხულთაგან ერთმა სტუდენტმა მიუთითა, რომ უცხოენოვანი კომპონენტების დასაძლევად სასურველი იყო დამატებითი ღონისძიებები. ქართული და უცხოური პრაქტიკის მიხედვით უცხო ენის B2 დონე მიიჩნევა საკმარისად სამართლის სხვადასხვა დონის პროგრამების დასაძლევად დაამ ნაწილში დადგენილი წინაპირობა სწავლის შედეგების მიღწევების საშუალებას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ○ ბლოკ სემინარი #2 სილაბუსი
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთი ნაშრომის უცხო ენაზე გამოქვეყნებას, ასევე ერთ-ერთი ბლოკ სემინარის უცხო ენაზე შესრულებას, მნიშვნელოვანია რომ ისეთ სასწავლო კურსებში, რომლებიც ეხება კვლევის განხორციელებას და აკადემიური წერის სტანდარტებს, დამატებით რამდენიმე სალექციო საათი ჩატარდეს უცხო ენაზე ან საუკეთესო შემთხვევაში, მოხდეს დამოუკიდებელი უცხოენოვანი სასწავლო კურსის შეთავაზება იმ შესაბამის ენებზე, რომელიც რელევანტურია დოქტორანტებისათვის. აღნიშნულმა უცხოენოვანმა კურსმა მიზანშეწონილია მოიცვას, როგორც კვლევის უცხო ენაზე განხორციელების სპეციფიკა, ასევე უცხო ენაზე პრეზენტაციის უნარები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს; გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

პროგრამის სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შედეგებზე გასვლას. კერძოდ, სამეცნიერო კვლევით კომპონენტების განხორციელება, ასევე ბლოკ სემინარების განხორციელება, სტუდენტს საშუალებას აძლევს ა) სისტემურად/კრიტიკულად გაიაზროს და ახსნას კონკრეტული თემის ირგვლივ არსებული მეცნიერული მოსაზრებები თეორიები, გამოკვეთოს თანამედროვე ტენდენციები და თემის მიმართ არსებული პრობლემური საკითხები, რაც საშუალებას მისცემს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ფოკუსირდებს საკუთარი კვლევის მიზნებსა და შედეგებზე. „სადოქტორო კვლევისა და დისერტაციის არქიტექტონიკის“ ასევე „სადოქტორო კვლევის“ სასწავლო კურსები დამატებით უზრუნველყოფენ სადისერტაციო ნაშრომის კონსტრუირებულად გააზრებისა და აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისი ნაშრომის შექმნისთვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის კომპლექსურობა და დატვირთულობა განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევით კომპონენტის ნაწილში სტუდენტების მხრიდან ინტერვიუებზე შეფასდა დადებითად. სასწავლო მასალები შესაბამისი კურსების შინაარსთან მიმართებით რელევანტურია და შესაბამისად უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურირებულია შემდეგნირად:

სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

ა) დარგობრივი დისციპლინების მოდული (20კრედიტი);

ბ) ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდული (12კრედიტი);

გ) მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდული (18 კრედიტი);

დ) არჩევითი სასწავლო კომპონენტების მოდული (10 კრედიტი);

სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება მოიცავს:

ა) საკუთრივ სადისერტაციო ნაშრომს (120 კრედიტი);

ბ) ორ კოლოკვიუმს, რომლებიც გულისხმობენ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადებას სამეცნიეროსტატიისა(ქართულ ენაზე) და სამეცნიერო მოხსენების ფორმატით(ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიეროენაზე);

გ) სამეცნიერო არჩევითი მოდულით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას-სტატიის გამოქვეყნება სართაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან სამეცნიერო პრაქტიკის გავლა ადგილობრივ, ან უცხოეთისსამეცნიერო-კვლევით ცენტრებში;

დ)ერთ სამეცნიერო სტატიას რეფერირებად გამოცემაში (ქართულ ენაზე);

ე)ერთ სამეცნიერო მოხსენებას/თეზისს საერთაშორისო ფორუმის კრებულში ან ელექტრონულ მატარებელზე, პირადი მონაწილეობის დადასტურებით (უცხოურ ენაზე);
ვ)ერთ სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში (უცხოურ ენაზე);

დისერტაციის დაცვის წინაპირობა, გარდა ზემოაღნიშნული სამეცნიერო აქტივობებისა, გულისხმობს:
ა)პოპულარულ სტატიას ელექტრონულ ან მატერიალურ მატარებელზე, ანბლოგებს (5-6ბლოგი), ან ელექტრონული მედიით გამოსვლას საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხზე, ან პოპულარული ლექციების ციკლის ჩატარებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების ცოდნის გაფართოებას, ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის პროფესიული განვითარების/გადამზადების ტრენინგების ორგანიზებას/წაყვანას;
ბ) სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული ყველა აქტივობის განხორციელებას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების შინაარსი ექსპერტთა შეფასებით უზრუნველყოფს კონკრეტული კურსის შედეგებზე გასვლას. ხოლო კურსებისთვის დადგენილი შედეგები თავის მხრივ კორელაციაშია პროგრამის მიზნებთან და მათი მიღწევა შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების წესი გათვალისწინებულია შესაბამისი სილაბუსებით. სასწავლო მასალასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ უცხოენოვანი მასალა იყოს განახლებული შედარებით ახალი ლირეატურით, მაგ. სასწავლო კურსის ფარგლებში „უმაღლესი განათლების პედაგოკიკა და ფსიქოლოგია“. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ რეკომენდაციები მე-4 გვერდზე.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, შეესაბამება კურსის მოცულობას. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; სწავლა-სწავლების მეთოდები, (ლექცია დისკუსია-ინტერაქტივი, ქეისის განხილვა, და სხვა) შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სხვადასხვა კურსების ფარგლებში გამოყენებული მეთოდები გულისხმობს: კვლევის მეთოდების რეპროდუქციულ განხილვას/ახლებურად გააზრებას სამართლის სადოქტორო კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ პრობლემებზე დაფუძნებით. დედუქციური და ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს საკითხის გაფართოებულ შესწავლას და შესაბამისი ეფექტის მიღწევას. მნიშნელოვანია ჯგუფში მუშაობის მეთოდიც, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა მცირე ჯგუფთან მუშაობას ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: სასწავლო კურსების ფარგლებში ინგლისურენოვანი ლიტერატურის განახლება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული-სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაზე, რომელთა შორისაც აღსანიშნავია, კვლევის განხორციელებისათვის აუცილებელი ისეთი უნარები, როგორიცაა საკვლევი თემის იდენტიფიცირება და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, პრობლემურ საკითხებზე კონცენტრირება და მათ ჭრილში კვლევის მიზნებისა და შედეგების გამოკვეთა. აღნიშნული უნარები განვითარება ხდება, როგორც სასწავლო კომპონენტებით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებით. ასევე მნიშვნელოვანია სალექციო კურსების გაძღოლის უნარი, რომელიც მიიღწევა პროფესორის ასისტენტობით, ასევე შესაბამისი სასწავლო კურსით „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“. სამეცნიერო კონფერენციებზე მოხსენებების წარდგენის უნარები, რომელთა განვითარება შეიძლება უნივერსიტეტის მხარდაჭერის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით.

ხელმისაწვდომია კრიმინალისტიკის ლაბორატორია, რომელიც დიდი დარგობრივი პრაქტიკული გამოცდილების პერსპექტივას უქმნის სისხლის სამართლის მიმართულების დოქტორანტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს. მეთოდების კომპლექსურობა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ეფექტურობას. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული კურსების ფარგლებში ლოგიკურად არის ინტეგრირებული შესაბამისი მეთოდები, რაც სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმს წარმოადგენს. მათ შორის მნიშნელოვანია მოდელირებული კვლევის სავარჯიშო-კვაზი მეცნიერული პრობლემის კვლევა-შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატის შემუშავება, კვლევის მეთოდების შერჩევა, რელევანტურობის დასაბუთება, შედეგების კრიტიკულ ანალიზი და ა.შ. ქეისს ანალიზი, რომელიც ავითარებს სიღრმისეული დასკვნებისა და პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელ უნარებს. სადოქტორო საფეხურისათვის სწავლება-სწავლის მნიშვნელოვანი მეთოდია საცდელი ლექციის ჩატარება.

პროგრამის სასწავლო კურსის თითოეული სილაბუსი მოიცავს სწავლა სწავლების მეთოდებს, რომლებიც რელევანტურია შესაბამისი კურსის შინაარსთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის სილაბუსებით დადგენილია სტუდენტთა შეფასების წესი, რომელიც მოიცავს 100 ქულიან სისტემას და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ შეფასების სისტემას. სილაბუსები ატვირთულია ელექტრონულ პროგრამაში და შესაბამისად წინასწარ ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება კომისიის წინაშე და დადგენილია წინაპირობები და შეფასების წესი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა;

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობებია:

ა) სასწავლო კომპონენტის დაძლევა, ბ) კვლევითი კომპონენტის სრულად განხორციელება და გ) დამატებითი აქტივობიდან ერთ-ერთი: პოპულარულ სტატიას ელექტრონულ ან მატერიალურ მატარებელზე, ან ბლოგებს (5-6 ბლოგი), რაც გულისხმობს რეგულარული ჩანაწერების ციკლს მნიშვნელოვან და აქტუალურ ერთ ან რამდენიმე სამართლებრივი საკითხის ირგვლივ, ელექტრონული მედიით გამოსვლას საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხზე, ან პოპულარული ლექციების ციკლის ჩატარებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების ცოდნის გაფართოებას, ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის პროფესიული განვითარების/გადამზადების ტრენინგების ორგანიზებას/წაყვანას.

დისერტაციის შეფასება საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტის წევრების მიერ, შემდეგი სისტემით:

ა.ფრიადი (summa cum laude), 91-100 ქულა - შესანიშნავი ნაშრომი.

ბ.ძალიან კარგი (magna cum laude), 81-90 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.

გ. კარგი (cum laude), 71-80 ქულა _ შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.

დ. საშუალო (bene), 61-70 ქულა _ საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ე.დამაკმაყოფილებელი (rite), 51-60 ქულა _ შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

ვ. არადამაკმაყოფილებელი (insufficient), 41-50 ქულა _ არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო.

ზ.სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), 0-40 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

“ა” –“ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

“ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

“ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება პლაგიატით ან მონაცემთა გაყალბებით არის განპირობებული, საკითხს იხილავს სადისერტაციო საბჭო

უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დროს სტუდენტთა მიერ აღინიშნა, რომ მათ გასაჩივრების პროცედურით არ უსარგებლიათ. ასევე დადგენილია დისერტაციის დაცვის შედეგების გასაჩივრების მექანიზმის და პროცედურა. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი სილაბუსებით გათალისწინებული შეფასების მეთოდები ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის სპეციფიკას და საშულებას იძლევა დადგინდეს სწავლის შედეგების მიღწევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა გრსუ-ის სადოქტორო პროგრამის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობა, კერძოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას.

არსებობს სამეცნიერო-კვლევების მართვის, სტუდენტური სერვისის და საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრები. თითოეული მათგანი ეხმარება სტუდენტს სამეცნიერო-აკადემიურ აქტივობაში, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით დაინტერესებასა და ფორუმების ორგანიზებაში.

პროგრამის დადებით მხარედ უნდა შეფასდეს სტუდენტის ვალდებულება გამოსცეს ნაშრომი უცხოურ რეფერირებად გამოცემაში, რომლის მოძიებასაც უზრუნველყოფს საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი.

აღსანიშნავია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კურსდამთავრებული დოქტორანტების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები. უმეტესი მათგანი აკადემიური პერსონალის სახით კვლავ უნივერსიტეტში განაგრძობს მოღვაწეობას, შესაბამისად უპირველეს დამსაქმებლად, კვალიფიკაციის მიხედვით, კვლავ ''დედა" უნივერსიტეტი გვევლინება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტთა უმეტესობა წარმოადგენს ბაზარზე რეალიზებულ კადრებს, რომლებიც არ საჭიროებენ დამსაქმებელთა მიერ შემოთავაზებული პროდუქტით სარგებლობას.

დოქტორანტებთან აქტიურ კომუნიკაციას ახორციელებს როგორც მოქმედი რექტორი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებიც. სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ ელ.საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით უნივერსიტეტის წარმომადგენლები მუდმივად აწვდიან სიახლეებს პროგრამის გაუმჯობესებისა და დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების შესახებ.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პოტსდამისა ვუცბურგის უნივერსიტეტებთან, ასევე მაქს პლანკისა და ევროპის

სამეცნიერო ინსტიტუტებთან. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ერასმუს + მიერ შემოთავაზებული გაცვლითი პროგრამებით. ადმინისტრაციასთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ რამოდენიმე სტუდენტი კვლევით იყო მივლინებული გერმანიაში, რომლის სწავლის საფასურიც უნივერსიტეტმა თავად გადაუხადა. სადოქტორო პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ დაადის სტიპენდიით. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება საკონსულტაციო საათები მოქმედი სტატუსის მქონე სტუდენტებთან. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი დამატებით, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით აღრმავებს სტუდენტებთან ურთიერთობას, რაც დადებითად აისახება აკადემიურ აქტივობაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყოს სტუდენტებს ინდივიდუალური დატვირთვით რეალიზება განახორციელონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ჩატარებული ღონისძიებები, გამოცემული სტატიები და ადამიანური რესურსი განაპირობებს პროგრამის აღნიშნულ სტანდარტთან შესაბამისობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ მემორანდუმები; ○ შიდა შეფასების ანგარიში; ○ სტატისტიკური მონაცემები; ○ დებულება; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უსდ-ს მიერ საკუთარი კურსდამთავრებულების აკადემიურ პერსონალად უნივერსიტეტის ბაზაზე დატოვება უნდა ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად; ○ უსდ-ს მიერ დაფინანსებული კვლევები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ უსდ-ს საკუთარი რეფერირებადი გამოცემა გააჩნია, რაც მნიშნელოვან პროგრესს წარმოადგენს.
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მეცნიერ-ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მეცნიერების/აკადემიური დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ემერიტუსი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სამეცნიერო თემასთან/პრობლემატიკასთან დაკავშირებული კვლევითი გამოცდილება (მონოგრაფიები, წიგნები, პუბლიკაციები). ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია მეცნიერ-ხელმძღვანელის ფუნქციები, კერძოდ გ) ქვეპუნქტის თანახმად, ის ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს სადისერტაციო კვლევითი პროექტის, ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის შემუშავებაში, დ) ქვეპუნქტის თანახმად წინასწარ დადგენილი გრაფიკით ჩაატაროს სამუშაო სესიები სტუდენტებთან და ა.შ. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი სემესტრული დატვირთვის მატრიცით განსაზღვრულია თითო ხელძღვანელზე მაქსიმალური დოქტორანტების ოდენობა, რაც საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს ხარისხიანად გაუწიოს მის დოქტორანტს კონსულტაცია.

გრსუ-ს ჰყავს სადისერტაციო საბჭოს ბიურო, რომელიც კონტროლს უწევს მეცნიერ-ხელმძღვანელის მუშაობას, კერძოდ სემესტრში ერთხელ ხორციელდება ანგარიშის მოსმენა დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური გეგმის შესრულებისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა მეცნიერ-ხელმძღვანელებთან ინტერვიუ, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ითქვას, რომ პერსონალი გამორჩეულია როგორც პრაქტიკული, ასევე აკადემიური გამოცდილებით. უმეტესი მათგანი წარმოადგენს სამართლის შემოქმედ/განმავითარებელი სპეციალისტს (მოსამართლეებს, პრაქტიკოს იურისტებს, მეცნიერებს), რომლებიც ქმნიან უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ პროდუქტს. ისინი გახლავთ წიგნების, სტატიების, კომენტარების ავტორები, რომლისგანაც დოქტორანტი უამრავ სიახლეს მიიღებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასახულია მეცნიერ-ხელმძღვანელების რეზიუმე, სადაც ვხედავთ სამეცნიერო აქტივობას, მაგალითად პროფ. ანა ფირცხლაშვილს 2018 წელს გამოცემული აქვს მონოგრაფია თანაავტორობით თემაზე „ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში“, პროფ. ზურაბ ძლიერიშვილი სამოქალაქო კოდექსის კომენტარის თანაავტორი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახლავთ, პროფ. მერაბ ტურავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე და სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ავტორია. რაც შეეხება ხელმძღვანელის საკონსულტაციო საათებს, ის განსაზღვრულია რექტორის ბრძანებით. ამასთანავე დადგენილი დროის გარდა პროფესორები სთავაზობენ სტუდენტზე ორიენტირებულ/მორგებულ გრაფიკს. ○ ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელძღვანელები, რომლებიც შიდა კანონმდებლობით რეგულირებული ნორმებით უწევენ კონსულტირებას. გრსუ-ს სადოქტორო პროგრამა ამ სტანდარტს აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გრსუ-ს დებულება; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
▪ პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები არიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოში სამართლის შესაბამისი მიმართულებების განვითარებაში, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. თუმცა შესამჩნევია არსებული ტენდეცია, რომ პერსონალის ერთი ნაწილის სამეცნიერო აქტიიურობა არის დატვირთული და ინტენსიური, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში აქტივობა სამაოდ დაბალია. წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა. აკადემიური პერსონალის რაოდენობა გონივრულ თანაფარდობაშია სტუდენტთა რაოდენობასთან. კერძოდ, აკადემიური პერსონალი შედგება 31 სუბიექტისგან, რასაც ემატება 10 მოწვეული ლექტორი. ამჟამად არის 61 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობა ახალი მიღების შემთხვევაში გაიზრდება. საერთო ჯამში, სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების cv
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური დატვირთვის სქემა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, რაც გამოიხატება კვლევით მივლინებებში. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის CV-ების გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი სურათი: აკადემიური პერსონალის ნაწილის პროფესიული განვითარება განსაკუთრებულად ინტენსიურად არის დატვირთული, როგორც სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობით, ასევე პუბლიკაციების მომზადებით, თუმცა აკადემიური პერსონალის მეორე ნაწილის ბოლო დროინდელი აქტივობა არ იყო ინტენსიური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუს შედეგები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ აკადემიური პერსონალის cv-ები ○ ინფორმაცია სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ
რეკომენდაციები: ექსპერთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება მიექცეს აკადემიური პერსონალის უწყვეტ და განგრძობად პროფესიულ განვითარებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერისტეტის მიერ იდენტიფიცირებულია ახალი თანამშრომლის კოლექტივში ინტეგრაციისათვის საჭირო ქმედებები და ასახულია „მრჩეველის მეგზური“-ში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, კერძოდ, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და კომპიუტერული სივრცე, ელექტრონული ბაზები, მათ შორის, იურიდიულ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი HeinOnline, კრიმინალისტიკის ლაბორატორია, ასევე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი ნექსუსი. სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა დიჯიტალიზირებულია და ხელმისაწვდომია ელექტრონულ პორტალზე. ელექტრონული პორტალს მარტივი და მეგობრული ინტერფეისი აქვს. მორგებულია როგორც სტუდენტის ასევე აკადემიური პერსონალის საჭიროებებზე. უზრუნველყოფილია პლაგიატის გამოვლენის პროგრამა, ასევე ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია მეთოდური რეკომენდაციები პლაგიატის აღმოჩენისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ელექტრონული პორტალი ნექსუსი
- პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა მეთოდური რეკომენდაციები პლაგიატის აღმოჩენისათვის.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ბიბლიოთეკა განახლდეს მატერიალური ქართულ და უცხო ენოვანი ლიტერატურით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტი დამტკიცებულია, მასში ჩაშლილია სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ისეთი კომპონენტების დაფინანსება, როგორიცაა დოქტორანტების სამეცნიერო კვლევები და მობილობა, ასევე დოქტორანტების სტატიების ადგილობრივ და უცხოურ გამოცემებში გამოქვეყნების ხარჯები, ასევე გათვალისწინებულია რეზერვო ფონდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიუჯეტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს“, „ხარისხის მართვის რეგლამენტს“ და „საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტს“. მოცემული რეგულაციების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სისტემატურ მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდაციების შეიმუშავებს. „ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმები“-ს შესახებ აქტი აგებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლის (PCDA) პრინციპზე დაყრდნობით. კერძოდ, მასში გათვალისწინებულია თითოეული ციკლის ფარგლებში შესასრულებელი მიმართულებები. ასევე საყურადღებოა სასწავლებელში დანერგილი ხარისხის მართვის დუალური მოდელი, რომელიც გულისხმობს უკუგებისა და გამოყენების მექანიზმის აქტიური ჩართვით: დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-განვითარება + დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-განვითარება + მექანიზმის ეფექტიანობის შეფასებას. როგორც ინტერვიუს შედეგებიდან და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესახებ დებულებიდან ჩანს აღნიშნული მოდელი წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემური, თანმიმდევრული და ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული მოქმედებების საფუძველს.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ასევე ჩართული არიან სასწავლებლის ისეთი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგის კვლევის სამსახური, სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრი, საფინანსო სამსახური, სტუდენტური სერვისისა და მხარდაჭერის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, დასაქმების კოორდინატორი და სხვ.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“-ს შესახებ დოკუმენტი ითვალისწინებს რეგულაციებს შიდა და გარე მექანიზმების მუშაობაზე. აწესებს მექანიზმების ეფექტურობის შეფასებას და განმარტავს ცალკეული მექანიზმების შინაარს (სამოქმედო გეგმას, ინსტრუქციებს, მუშაობის შეფასებებს, აკადემიური მოსწრების შესწავლას, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას და გაუმჯობესებას, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვას და სხვ.

ხარისხის მართვის რეგლამენტი წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებული მოქმედებების თანმიმდევრულ განრიგს, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე სრულ სურათს ქმნის.

„საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ ადგენს პროგრამის აგების პრინციპებს, სრულად ასახავს საფეხურების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამებში შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს. განსაზღვრავს სასწავლო კურსის (სილაბუსის) მოთხოვნებს, პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობებს. სტანდარტით გათვალისწინებულია პროგრამის ექსპერტთა მიერ შეფასება, თვით ექსპერტთა შერჩევის წესიც. ამავე დოკუმენტით არის მოწესრიგებული სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაც.

გრსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი დებულების მიხედვით. სამსახურს ყავს უფროსი, რომელსაც კონკურსის საფუძველზე ნიშნავს რექტორი. ცალკეულ სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა, დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ეკისრება დეკანს, თუმცა შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისგან გამოიყოფა პირი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი - დეკანის მოადგილის სტატუსით, რომელიც ასევე თანამდებობაზე ინიშნება რექტორის ბრძანებით. კოორდინატორის ძირითადი ფუნქციებია საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების, სტუდენტთა სწავლის შედეგების, პროფესორ მასწავლებელთა მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება. მიღებულ შედეგებს აცნობს დაწესებულების ხარისხს და სკოლის დეკანს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი, რომლის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, გარდა უფლებამოსილი ადმინისტრაციული თანამდებობის პირებისა, მონაწილეობენ აკადემიური თანამდებობის პირები. გარდა ამისა, გრსუ-ის სამართლის სკოლის 2017 წლის 9 ნოემბრის №11-04/019 ბრძანებით ირკვევა, რომ შეიქმნა სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ასევე წარმოდგენილია ხარისხის შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ 2015-2016, 2016-2017 სასწავლო წლის ანგარიშები, რომელიც მეტყველებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამჭვირვალობაზე, დაინტერესებული პირების ჩართულობასა და ეფექტიანობაზე. ამგვარად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. წარმოდგენილ მარეგულირებელ აქტებს რიგ შემთხვევაში არ გააჩნიათ სამართლებრივი დოკუმენტებისთვის აუცილებელი საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები, რომელი ორგანოს, წელს რა ნომრით არის რეგისტრირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“; ○ ხარისხის მართვის რეგლამენტი;

- გრსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- „საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი;
- ხარისხის შეფასების ფორმები;
- ხარისხის შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ 2015-2016, 2016-2017 სასწავლო წლის ანგარიშები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამართლებრივ აქტებს მიეთითოს შესაბამისი რეკვიზიტები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასების საკითხები გრსუ-ში მოქცეულია ხარისხის საერთო მექანიზმების ფარგლებში და ცალკე რეგულაცია არ გააჩნია. პროგრამაში გათვალისწინებულია გარე შეფასების (2013 წლის 29 ივლისის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები), თუმცა ფორმალური თვალსაზრისით შესაბამის მარეგულირებელ აქტებში არ არის დადგენილი გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიო პროცედურა/წესი, თუ რა ხდება გარე შემფასებლის მიერ გაწეულ რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით. ექსპერტთა მიერ აღნიშნული ნაწილის შეფასების ნაწილში გამოვლინდა ფაქტები, რომ დაწესებულება აკადემიური და სკოლის საბჭოს მეშვეობით განიხილავს და რეაგირებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის შეფასებებზე, ღებულობს გადაწყვეტილებებს შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე, თუმცა მარეგულირებელ დოკუმენტში შესაბამისი დეტალური წესი არ იძებნება. სხვა მხრივ დაწესებულებაში მოქმედებს ასევე შეფასების ალტერნატული შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის 22-ე მუხლი ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიზნით ექსპერტთა შერჩევის წესს, რომლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს გარეშე პირების ექსპერტად მოწვევის შესაძლებლობას. აღნიშნული პუნქტის თანახმად წარმოდგენილია გარე ექპერტის ერთი შეფასება. კერძოდ, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების მასალების 5.2.2. დანართის სახით წარმოდგენილია გარე ექსპერტის შეფასების დოკუმენტი, რომელშიც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ექსპერტი პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მიხედვით ახორციელებს შეფასებას. სხვა სახის გარე შეფასების ფაქტი ადგილზე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დაფიქსირებული არ იქნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები **მტკიცებულებები/ინდიკატორები** ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“; ○ ხარისხის მართვის რეგლამენტი; ○ გრსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ „საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი; ○ ხარისხის შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ 2015-2016, 2016-2017 სასწავლო წლის ანგარიშები; ○ ხარისხის შეფასების ფორმები; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ გარე შეფასების ანგარიში (დანართი 5.2.2) ○ 2013 წლის 24 მაისის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა; ○ პროგრამის შეფასების გეგმა;

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია გარე შეფასებებზე რეაგირების წესში გათვალისწინებული იქნას ზოგადად განათლების და დარგის, მათ შორის უცხოელი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის რეგულაციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გრსუ-ში სისტემაშია მოქცეული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. მონიტორინგის ძირითადი პარამეტრები და პროცედურები გაწერილია ისეთ საუნივერსიტეტო დოკუმენტებში, როგორიცაა: „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, „საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“, „ხარისხის მართვის რეგლამენტი“, „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი“ და სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დებულების მიხედვით გეგმიურად ახორციელებს პროგრამის შეფასებას, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები, რაზეც მეტყველებს დაწესებულებაში მოქმედი გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვის ანგარიშები. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური, მოწვეული პერსონალის სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის ფორმები, რომელთა მიხედვით რეგულარულად ტარდება შესაბამისი გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზი, რაც მიმართულია პროგრამის განვითარებისაკენ.

„საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“-ის მე-20 მუხლი აწესრიგებს საგანმანთლებლო კორექტირების პროცესს დ არაც მთავარია უზრუნველყოფილია პროგრამის სტანდარტების მიხედვით განახლება/განვითარება. კერძოდ, დეკანის მიერ იქმნება არანაკლებ ხუთი წევრისგან შექმნილი კომისია, რომელიც შრომის ბაზრის გათვალისწინებით შეიმუშავებს საკუთარ მოსაზრებებს და წარუდგენს დეკანს. თავის მხრივ, კომისიის მიერ წარდგენილი წინადადებები და პროექტი ექვემდებარება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტიზას, რომელიც საჭიროების მიხედვით არჩევს ექსპერტებს და აფასებს წარმოდგენილ წინადადებებს. ექსპერტიზის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს (მ. 20, პ. 8) ბაზრის კვლევის შედეგები და არანაკლებ ორი ანალოგიური - მათ შორის ერთი უცხოური საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარების შედეგების გათვალისწინება. აღნშნულ კონტექსტში დადებითად მოქმედებს ასევე გარე ექსპერტის შეფასების შესაძლებლობაც, რომელიც წინამდებარე პროგრამის შეფასების სახით არის წარმოდგენილი (იხ. დანართი 5.2.2).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი დებულების მე-3 მუხლის თანახმად ახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ანალიზს, შეფასებას და შედეგების მიხედვით გასცემს რეკომენდაციებს. ამ მიზნით დანერგილი აქვს შესაბამისი ანგარიშგებისა და შეფასების ფორმები (F-06-24, F-06-25).

დაწესებულება ხარისხის მართვის რეგლამენტის მიხედვით ახორციელებს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ ასპექტებზე დაკვირვებას, მონიტორინგს და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას. შესაბამისად დასტურდება, რომ მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. თვითშეფასების, მის თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით იყენებს ადეკვატურ მექანიზმებს და ინსტრუმენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“; ○ ხარისხის მართვის რეგლამენტი; ○ გრსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ „საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“; ○ „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი“; ○ ხარისხის შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ 2015-2016, 2016-2017 სასწავლო წლის ანგარიშები; ○ ხარისხის შეფასების ფორმები; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ გარე შეფასების ანგარიში (დანართი 5.2.2) ○ 2013 წლის 24 მაისის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა; ○ პროგრამის შეფასების გეგმა; ○ ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნონა ზუბიტაშილი

Nona Zubitashvili

Digitally signed by Nona Zubitashvili
Date: 2020.02.13 16:15:08 +04'00'

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ლევან ჯაყელი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სესილი ქადარია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა